განცხადება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი **ტექინფორმი** აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

ა) ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილება

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული.

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების განყოფილება

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი დარგის 1 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიოს განმცხადებელს (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი რომელშიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს ამჟამად.

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 6 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის 17.00 საათამდე.

მისამართი: 0179, თბილისი, კოსტავას ქ. 47, მე-6 სართული, ოთახი 18.

კონკურსში მონაწილეობისათვის სასურველია საბუთები წარმოდგენილი იყოს აგრეთვე ელექტრონული ფორმით.

საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით, ან გაიგზავნოს მისამართზე: tech@caucasus.net.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
ტელ: 2 335122, 2 335315.
პასუხისმგებელი პირი - მეგი თათარაშვილი